

კასპიის ზღვის რეგიონის როლი გლობალურ ენერგოსაფრთხოების სისტემაში

რეზიუმე

სტატიაში, შესაბამის თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით, განხილულია კასპიის ზღვის ენერგომატარებლებისა და მათი ტრანსპორტირების მნიშვნელობა როგორც რეგიონულ ისე გლობალურ პოლიტიკაში. შესწავლილია რეგიონული და გლობალური მოთამაშეების გავლენა კასპიის რეგიონში შექმნილ ძალთა ბალანსზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და განვსაზღვრულია მათი როლი და პოზიციები ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისათვის ალტერნატიული გზების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *კასპიის ზღვა, ენერგორესურსები, სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზერუმი*

შესავალი

ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვით, თითოეული სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა თავითგადარჩენა. ამავე დროს, იგი ცდილობს განიმტკიცოს ძალაუფლება და სიძლიერე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, ვინაიდან ზუსტად ეს წარმოადგენს სახელმწიფოს შენარჩუნების გარანტიას. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის გამძლიერება წარმოადგენს ნორმალურ მდგომარეობას, რაც ბუნებრივად იწვევს მეტოქეობას სახელმწიფოებს შორის. სუსტი სახელმწიფოები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ უსაფრთხოებას, ერთიანდებიან კოალიციებში, რაც საშუალებას აძლევს თავი დაიცვან ჰეგემონისადმი მორჩილებისგან ან გაქრობისგან.¹ რეალიზმის პარადიგმა სახელმწიფოებს განიხილავს როგორც რაციონალურ აქტორებს საერთაშორისო სისტემაში. რაციონალური ქცევა განისაზღვრება როგორც ქცევა, რომელიც ემსახურება მთავრობების ეროვნულ ინტერესებს. მთავრობების ეროვნული ინტერესები განისაზღვრება როგორც სიმდიდრის, ძალაუფლებისა და გადარჩენის მოპოვება. ამ ჩარჩოში ენერგორესურსები განიხილება როგორც სიმდიდრე და როგორც სახელმწიფოს ძალაუფლების მაქსიმალური გაზრდის ელემენტი. თითოეული ხელისუფლების რაციონალური ქცევა ენერგორესურსებთან მიმართებაში განისაზღვრება ამ რესურსების საჭიროებით. ამრიგად, თითოეული სახელმწიფოს მიერ წარმოებისა და მოხმარების რაოდენობას გადამწყვეტი როლი აქვს მის საგარეო პოლიტიკურ ქცევაში. გლობალურ ენერგეტიკულ სტრუქტურაში არსებობს სამი განსხვავებული ტიპის ქვეყნები: ენერგიის მწარმოებლები, გადამტანი და მომხმარებელი. ზოგადად, რაციონალური ქცევა განისაზღვრება მომხმარებლებისა და გადამტანი ქვეყნებისთვის როგორც ქცევა, რომელიც უზრუნველყოფს ენერგორესურსებზე საკმარის წვდომას მისაღებ ფასებში.²

კასპიის ზღვა ტრადიციულად არის როგორც რეგიონული, ისე არარეგიონული ძალების გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების ცენტრი. კასპიის ზღვის რეგიონში გავლენებისთვის ბრძოლას აქვს თავისი ისტორიული ანალოგი. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთი, ოსმალეთი და დასუსტებული სპარსეთი მეტოქეობდნენ ერთმანეთთან კასპიის ზღვაზე გავლენების მოსაპოვებლად, რაც გამოწვეული იყო სპარსეთის დასუსტებით. აღნიშნული პროცესი შეიძლება შევადაროთ მეოცე საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირის ნგრევით

¹ Paul, Thazha Varkey, James J. Wirtz, and Michel Fortmann. *Balance of power: theory and practice in the 21st century*. (Stanford University Press, 2004), 3-4

² Winzer, Christian. "Conceptualizing energy security." *Energy policy* 46 (2012): 36.

გამოწვეულ მოვლენებს.³

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების აქტიურობა ცენტრალური აზიისა და კასპიის რეგიონის ქვეყნებში ვლინდება სხვადასხვა ფორმით, კერძოდ - დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და, საბოლოო ჯამში, ასახავს მთავარ გეოპოლიტიკურ რეალობას, მზარდ მეტოქეობას ენერგორესურსების წყაროებისთვის⁴. რეგიონს აქვს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და ასრულებს ხიდის როლს ენერგომატარებლების მიწოდების საქმეში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამგვარად, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ოპტიმალური სატრანზიტო მარშრუტის პოვნა არის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, რომელიც კასპიის რეგიონის სახელმწიფოების წინაშე დგას.⁵

ცივი ომის შემდეგ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს ბრძოლა რეგიონის რესურსებზე. დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში ენერგომატარებლები, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ხელს უწყობს უსაფრთხოების დადგენას, თუმცა პარალელურად ქმნის რეგიონულ და საერთაშორისო კონფლიქტებს.⁶ მსოფლიოში ენერგომატარებლებზე გაზრდილი მოთხოვნა განაპირობებს გარე ძალების აქტიურ ჩართულობას რეგიონში მიმდინარე პროცესებში, ხშირად - გეოპოლიტიკურად დაპირისპირებული მხარეებისას.⁷ კასპიის ზღვა და ცენტრალური აზიის რეგიონი მნიშვნელოვანია არამხოლოდ ენერგეტიკული რესურსების, ვაჭრობისა და ეკონომიკური შესაძლებლობების, არამედ გეოპოლიტიკური უსაფრთხოებისა და უმველესი კულტურული და ცივილიზაციური მნიშვნელობის გამო.⁸

რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს როგორც კასპიის ზღვის აუზის რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რეგიონის ენერგეტიკული რეზერვები, სავაჭრო და სატრანსპორტო დერეფნები გავლენას ახდენს რეგიონულ და ტრანსრეგიონულ აქტორებზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების სფეროში.⁹ კასპიის ზღვის მოსაზღვრე ყველა ქვეყანა მდიდარია ნახშირწყალბადით, რის გამოც ენერგეტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონის გეოპოლიტიკაში.¹⁰

3. მორგენტაუს აზრით, ძალაუფლების ძირითადი შემადგენელი ელემენტია ბუნებრივი რესურსები, რომლებიც იყოფა საკვებად და ნედლეულად. 3. მორგენტაუ თვლის, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ნავთობი ენერგიის ინდუსტრიულ და სამხედრო წყაროდ იქცა. მისი აზრით, ნავთობის რეზერვების საჭიროებამ შეცვალა დიდი სახელმწიფოების ძალაუფლების მნიშვნელობა. დიდი სახელმწიფოები ცდილობენ გააკონტროლონ ეს ნავთობის რეზერვები და კონკურენტებს წაართვან მათზე წვდომის საშუალება, შედეგად ძალაუფლების განაწილება

³ Vaziri, Haleh. "A Diplomatic History of the Caspian Sea: Treaties, Diaries, and Other Stories, Guive Mirfendereski. With a foreword by HE Chehabi. New York: Palgrave, 2001 ISBN 0-312-24005-8, 261pp." *Iranian Studies* 37, no. 1 (2004): 163-165.

⁴ Томберг, Игорь. "Центральная Азия и Каспийский регион: новый этап" большой энергетической игры". *Центральная Азия и Кавказ* 5 (47) (2006): 24.

⁵ Heinrich, Andreas, and Heiko Pleines. "Mixing geopolitics and business: How ruling elites in the Caspian states justify their choice of export pipelines." *Journal of Eurasian studies* 6, no. 2 (2015): 110.

⁶ Zibakalam, Sadegh; Arab Ameri, Javad. Manabe'-e gheyr-e mota'ref-e enerji va jaygah-e Khalij-e Fars dar siyasat-e amniyat-e enerjhi-e Eyalat-e Motahede. *The Journal of Foreign Policy*, vol. 28, N 1, Spring, 1393 (2014): 180.

⁷ Croissant, Michael P., and Bülent Aras. *Oil and geopolitics in the Caspian Sea region*. (Greenwood Publishing Group, 1999). 16

⁸ Denoon, David, ed. *China, The United States, and the Future of Central Asia: US-China Relations, Volume I*. Vol. 1. (NYU Press, 2015). 262

⁹ Molaei, Yousef, and Dayyan Jaanbaaz. "Geopolitics and balance of power in Caspian Sea." *Central Eurasia Studies* 9, no. 1 (2016): 151.

¹⁰ Tapia, Felipe Sánchez. "Geopolítica en el mar Caspio: los extraños no son bienvenidos." *bie3: Boletín IEEE* 22 (2021): 208

იცვლება მათ სასარგებლოდ.¹¹

კასპიის ზღვის ხუთი ზღვისპირა სახელმწიფოს გარდა, სხვა რეგიონული და გლობალური სახელმწიფოებიც (აშშ, ევროპა, ჩინეთი) დაინტერესებულნი არიან წარმოდგენილი იყვნენ რეგიონში, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები პოლიტიკური, ეკონომიკური საშუალებების გამოყენებით.¹²

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, დავადგინოთ რეგიონული და გლობალური მოთამაშეების გავლენა კასპიის რეგიონში შექმნილ ძალთა ბალანსზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და განვსაზღვროთ მათი როლი და პოზიციები ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისათვის ალტერნატიული გზების ძიებაში.

აშშ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოში არსებული ძალთა ბალანსი შეიცვალა. ბიპოლარული მსოფლიოს ნაცვლად მივიღეთ მრავალპოლარული სისტემა, რომელშიც ლიდერობას ინარჩუნებს ამერიკის შეერთებული შტატები.¹³ ჰენრი კისინჯერი თავის წიგნში „დიპლომატია“ წერს, რომ თითქოს რაღაც ბუნებრივი კანონის შესაბამისად ყოველ საუკუნეში ჩნდება ქვეყანა, რომელსაც აქვს სიძლიერე, მიზანდასახულობა, ძლიერი ინტელექტუალური და მორალური სტიმული, რაც აძლევს მას საშუალებას, ჩამოაყალიბოს საერთაშორისო სისტემა თავისი ფასეულობების შესაბამისად. XVII საუკუნეში კარდინალ რიშელიეს საფრანგეთმა საერთაშორისო ურთიერთობებში შეიტანა სიახლე, რომლის საფუძველს წარმოადგენდა ეროვნული სახელმწიფო მოტივირებული ეროვნული ინტერესებით. XVIII საუკუნეში დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავა ძალთა ბალანსის კონცეფცია, რომელიც დომინირებდა ევროპულ დიპლომატიაში შემდეგი ორასი წლის განმავლობაში. XIX საუკუნეში ავსტრია მეტერნიხის დროს გარდაქმნის „ევროპულ კონცერტს“, ხოლო ბისმარკის გერმანია ანგრევს ამ კონფიგურაციას და ევროპულ დიპლომატიას აქცევს ძალისმიერი პოლიტიკის ციკლისხლიან თამაშად. XX საუკუნეში არცერთ ქვეყანას არ მოუხდენია ისეთი დიდი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, როგორიც მოახდინა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. აშშ-ს მსგავსად არცერთი ქვეყანა არ ითხოვდა სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევის დაუშვებლობას და თავისი ფასეულობების უნივერსალურად გამოყენებას.¹⁴

კასპიის ზღვის გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს რეგიონის გლობალურ მნიშვნელობას და მისადმი შეერთებული შტატების განსაკუთრებულ დაინტერესებას, რომელიც თავისი სტრატეგიული გეგმის განხორციელების მიზნით ყოველმხრივ აფართოებს თანამშრომლობას ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან.¹⁵ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეერთებული შტატები აქტიურად არის ჩართული რეგიონში მიმდინარე პროცესებში. აშშ დაინტერესებულია ხელმისაწვდომი, დეპოლიტიზებული, საიმედო ენერგომომარაგების პერსპექტივით, რასაც შეიძლება მოჰყვეს სპარსეთის ყურესა და მსოფლიოს სხვა რეგიონებზე ენერგო დამოკიდებულების შემცირება. ამერიკის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიის ფარგლებში, მისი დამოკიდებულება ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე, განსაკუთრებით - სპარსეთის ყურის ქვეყნებზე მოიცავს რიგ საფრთხეებს, მათ შორის ეკონომიკურს. განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს ენერგომატარებლებზე ფასების

¹¹ Morgenthau, H. *Politics among nations: Struggle for power and peace*. (New York: Knop. 1948), 82-84

¹² Kalehsar, Shokri. *US Energy Diplomacy in the Caspian Sea Basin*. (Springer International Publishing, 2021), 69-70.

¹³ Kubicek, Paul. "Energy politics and geopolitical competition in the Caspian Basin." *Journal of Eurasian studies* 4, no. 2 (2013): 172

¹⁴ Kissinger Henry, *Diplomacy*, (Simon and Schuster, 1994), 17.

¹⁵ Cutler, Robert M. "Cooperative Energy Security in the Caspian Region: A New Paradigm for Sustainable Development." *Global Governance* 5 (1999), 271

ზრდა. არის აგრეთვე პოლიტიკური საფრთხეები, რაც გულისხმობს ენერგომატარებლების ზეწოლის ინსტრუმენტად გამოყენებას ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მხრიდან.¹⁶

კასპიის რეგიონიდან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება, წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხს, ხოლო ქვეყნები, როგორებიცაა ირანი, თურქეთი და რუსეთი, იბრძვიან საკუთარი გავლენების გასაძლიერებლად. სატრანზიტო გზებზე, მილსადენებზე კონტროლის დაწესება ნიშნავს, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალურ აზიის რეგიონებზე გეოპოლიტიკური გავლენის გაზრდას.

კასპიის რეგიონში ენერგორესურსების საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა აშშ-სთვის 2000-იანი წლების დასაწყისიდან შეიძინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ს ადმინისტრაციები რეგიონს გარკვეული სიფრთხილით მიუდგნენ, მაგრამ რეგიონის ნავთობისა და გაზის სექტორის აღორძინება უფრო ფართო მიზნებთან იყო დაკავშირებული.¹⁷

1990-იან წლებში შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონის ენერგეტიკულ დიპლომატიაში, განსაკუთრებით - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის მშენებლობის კუთხით. შეერთებული შტატები დაინტერესებულია კასპიის ზღვის რეგიონიდან მილსადენების მრავალი მარშრუტის არსებობაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ევროკავშირისა და აშშ-ს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. აშშ დაინტერესებულია კასპიის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებით, ვინაიდან ეს არის ცენტრალური აზიის ერთ-ერთი მთავარი მისასვლელი გზა და არის ფართო რეგიონის ის ნაწილი, რომელიც მიდრეკილია არასტაბილურობისკენ, რაც გავლენას ახდენს ამერიკისა და მსოფლიოს ინტერესებზე.¹⁸ შეერთებული შტატების სტრატეგია აერთიანებს ეკონომიკურ მოთხოვნებს უფრო ფართო სტრატეგიულ და პოლიტიკურ მიზნებთან. შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური მიზნები კასპიის რეგიონში არასოდეს შემოიფარგლებოდა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით.

ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აშშ-სთვის, არამედ მთელი მსოფლიოს სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის, რაც გავლენას ახდენს ყველა ინდუსტრიისა და სექტორის პროდუქტიულობაზე და აქვს ღრმა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგები.

ევროპის კავშირი

კასპიის ზღვის რეგიონი და მასში არსებული ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხი საკმაოდ აქტუალურია ევროკავშირის ქვეყნებისათვის. კასპიის რეგიონი ევროპის ენერგორესურსებით მომარაგების საკითხში განიხილება, როგორც ერთ-ერთი ალტერნატივა. აღნიშნული რეგიონიდან ევროპის ბაზრების ენერგორესურსებით მომარაგება შეამცირებს ევროპის ენერგოდამოკიდებულებას რუსეთზე. ევროპის ენერგოდამოკიდებულების შემცირება და ალტერნატიული ენერგობაზრების განვითარების აუცილებლობა კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს აღნიშნულ რეგიონს. სტრატეგიულად ეს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გზაჯვარედინი თავისი უხვი ენერგო რესურსებით ოცდამეერთე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.¹⁹

კასპიის რეგიონიდან ევროპის მიმართულებით ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ. ევროკომისიამ 2014 წლის 28 მაისს გამოაქვეყნა დოკუმენტი/სტრატეგია, სახელწოდებით „ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგია“, რომლის მიზანი იყო ენერგოდამოკიდებულების შემცირება. ამ დოკუმენტით ევროკომისიამ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების გამტკიცების

¹⁶ Zibakalam, Sadegh; Arab Ameri, Javad. Manabe'-e gheyr-e mota'ref-e enerji va jaygah-e Khalij-e Fars dar siyasat-e amniyat-e enerjhi-e Eyalat-e Motahede, 180.

¹⁷ Kalehsar, Shokri. *US Energy Diplomacy in the Caspian Sea Basin*, 137

¹⁸ Kalehsar, Shokri. *US Energy Diplomacy in the Caspian Sea Basin*, X

¹⁹ Alexander Latsabidze, "New geopolitical realities of the Caspian Sea region", *Free University Journal of Asian Studies* NO 2, (2020):1-5 accessed December 1, 2020, <https://journals.org.ge/index.php/asianstudies/issue/view/17>

აუცილებლობაზე, განსაკუთრებით - ბუნებრივი აირის მიწოდების კუთხით.²⁰

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი ევროკავშირის ქვეყნებისთვის არის ბუნებრივი აირის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი. შესაბამისად, უკრაინის კრიზისის შედეგად, ევროკავშირმა გააცნობიერა თავისი გადაჭარბებული ენერგო დამოკიდებულება რუსეთზე.

ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე და გაზბრომის მონოპოლია ევროკავშირის ბუნებრივი აირის ბაზარზე წარმოადგენს კასპიის ზღვის რეგიონის მიმართ მისი ინტერესის გაზრდის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.²¹ ევროკავშირის პოლიტიკურმა ჩართულობამ ცენტრალურ აზიასთან, კასპიის ზღვასა და კავკასიასთან ოფიციალური ხასიათი შეიძინა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების (Partnership Cooperation Agreements-PCA) გაფორმების შემდეგ. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა, 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ. დასავლეთის მხრიდან რუსეთისთვის 2014 წელს დაწესებული სანქციების კიდევ უფრო გამკაცრებამ ნათელი გახადა, რომ ევროპისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგომომარაგების, განსაკუთრებით კი - ბუნებრივი აირით მომარაგების რუსეთისგან ალტერნატიული გზების მოძიება. სწორედ კასპიის ზღვის რეგიონი მოიაზრება აღნიშნულ ალტერნატივად. ევროპისთვის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომი მიწოდების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ენერგიის მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაცია.²² ახალი მარშრუტები შეამცირებენ ევროკავშირის ქვეყნების დამოკიდებულებას ერთ მიმწოდებელზე.

2020 წლის ბოლოს გახსნილმა ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფანმა, 2022 წლის მარტის მდგომარეობით, ევროპას მიაწოდა პირველი 10 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. 2022 წლის 18 ივლისს ბაქოში ევრო კომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და ენერგეტიკის საკითხებში კომისარი კადრი სიმსონი შეხვდნენ პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრს ფარვიზ შაჰბაზოვს. მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების ახალ მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. მემორანდუმში გულისხმობს ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის სიმძლავრის გაორმაგებას, რათა ევროკავშირს ყოველწლიურად მიეწოდოს მინიმუმ 20 მილიარდი კუბური მეტრი 2027 წლისთვის. ეს ხელს შეუწყობს დივერსიფიკაციის მიზნებს და დაეხმარება ევროპას შეამციროს დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე. გაძლიერებული ენერგეტიკული თანამშრომლობის საფუძველზე, აზერბაიჯანი უკვე ზრდის ევროკავშირში ბუნებრივი აირის მიწოდებას 2021 წელს 8,1 მილიარდი კუბური მეტრიდან 2022 წელს მოსალოდნელ 12 მილიარდ კუბურ მეტრამდე.

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეული სირთულეებისა და გლობალური ენერგეტიკული ბაზრის შეფერხების საპასუხოდ ევროკომისიამ წარმოადგინა REPowerEU გეგმა. REPowerEU გეგმა, გულისხმობს ენერგიის დაზოგვას, სუფთა ენერგიის წარმოებას, ენერგომატარებლების მიწოდების გზების დივერსიფიკაციას, რაც გამყარებულია ფინანსური და სამართლებრივი ღონისძიებებით.

კომისია დიდი ხანია მხარს უჭერს სამხრეთ დერეფნის გაფართოებას ევროკავშირის გარე ენერგეტიკული ჩართულობის სტრატეგიაში, რომელიც თან ახლავს REPowerEU გეგმას. კომისიამ აღიარა, რომ ბუნებრივი აირის სამხრეთი დერეფანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაციაში, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის.²³

ევროკავშირსა და აშშ-ს - ორივეს - აქვთ ერთიანი პოლიტიკური მიზნები კასპიის ზღვის

²⁰ Kaysi, Hakan. "Energy security of the European Union and Turkey's role." *Ankara Avrupa Çalışmaları Dergisi* 10, no. 2 (2011): 63-82.

²¹ Bluth, C. *US foreign policy in the Caucasus and Central Asia: Politics, energy and security*. (New York: I.B. Tauris, 2014), 65.

²² Denoon, David, ed. *China, The United States, and the Future of Central Asia: US-China Relations*, (Volume I. Vol. 1. NYU Press, 2015), 217--ეს უკვე ნახსენებია

²³ European Commission, accessed July 18, 2022, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_4550

მიმართ. ორივე აღიარებს რეგიონის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების მნიშვნელობას ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და კასპიის ზღვის ქვეყნების სტაბილურობაში. ორივე იზიარებს მსგავს ხედვებს. აღნიშნული რესურსები იქნება მნიშვნელოვანი დანამატი მსოფლიოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგებისთვის და აუცილებელია, მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე უსაფრთხო წვდომის უზრუნველსაყოფად.²⁴

ჩინეთი

ჩინეთის მიერ კასპიის რეგიონის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, მზარდმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, ცენტრალური აზიის ქვეყნებს საშუალება მისცა, მოეხდინათ ვაჭრობისა და ენერგეტიკული სატრანზიტო მარშრუტების დივერსიფიკაცია. *კასპიის ზღვის ენერგორესურსების გამოყენების მიზნით* ჩინეთი ცდილობს თავისი დასავლეთის საზღვრების დაცვას მოსაზღვრე ქვეყნებთან კავშირების გაძლიერებით.

ჩინეთი ენერგიის მოხმარებაში მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ის არის ქვანახშირის უმსხვილესი მწარმოებელი და მომხმარებელი, ნავთობის მეორე იმპორტიორი და მომხმარებელი, ელექტროენერგიის მეორე მწარმოებელი. ჩინეთის ენერგიის მოხმარების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობისგან (70 პროცენტი ნახშირი და შედარებით მცირე რაოდენობით ნავთობი და ბუნებრივი აირი).

ჩინეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრიორიტეტს წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენებში, რაც იძლევა ნავთობისა და გაზის უწყვეტი წვდომის საშუალებას, რომელიც არ არის დამოკიდებული საერთაშორისო საზღვაო გზებზე.²⁵ ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთმა ცენტრალური აზიის რეგიონში განახორციელა ინვესტიციები ენერგეტიკულ სექტორსა და სხვადასხვა პროექტებში, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს პეკინის გავლენის გაძლიერება რუსეთისა და ამერიკის მზარდი სფეროების დასაპირისპირებლად.

რუსეთი

რუსეთს აქვს ნავთობისა და ბუნებრივი აირის უზარმაზარი მარაგი. იგი არის მსოფლიოში უდიდესი ენერგიის ექსპორტიორი და სიდიდით მეორე მწარმოებელი. ენერგეტიკული ექსპორტი წარმოადგენს რუსეთის საგარეო შემოსავლის უდიდეს წყაროს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის ეკონომიკაში. გეოგრაფიული მდებარეობა რუსეთს აძლევს შესაძლებლობას, ითამაშოს საკვანძო როლი ენერგიის ექსპორტის პოლიტიკაში.²⁶

უზარმაზარი რეზერვები, აზიისა და ევროპის ძირითად მოხმარების ბაზრებზე წვდომა და მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქსელი რუსეთს უქმნის დიდ შესაძლებლობებს, ენერგეტიკის დახმარებით გააძლიეროს თავისი მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის მიზანია, გამოიყენოს ენერგეტიკული დიპლომატია საგარეო პოლიტიკაში, რათა აღადგინოს თავისი გავლენა ყოფილ საბჭოთა, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებზე, შეცვალოს მათი შემდგომი დაახლოების ტენდენცია დასავლურ სტრუქტურებთან. რუსეთი ფაქტობრივად ცდილობს გააძლიეროს თავისი პოზიციები საერთაშორისო პოლიტიკაში სხვადასხვა ბერკეტის, განსაკუთრებით - ენერგეტიკის გამოყენებით.²⁷

რუსეთი მიიჩნევს კასპის ზღვის რეგიონსა და ცენტრალურ აზიას თავისი გავლენის სფეროდ

²⁴ Babali, Tuncay, *Caspian Energy Diplomacy Since the End of the Cold-War*. (Turkish Foreign Policy Institute, 2006), 155

²⁵ Shaffer, Brenda. "Pipeline Trends and International Politics." In *Energy Politics*, (University of Pennsylvania Press, 2009), 47-65

²⁶ Shaffer, Brenda. "Russia." In *Energy Politics*, 114-127

²⁷ Karimi Pour, D., Niakoi, S. A., & Simbor, R. N. Diplomasi-e enerjhi dar Siyasat-e Khareji-e Qatar va Russie. *Journal of Strategic Research of Politics*, vol. 6, N22 (52) (2017):192

და განიხილავს მას რუსეთის უსაფრთხოების საკვანძო რეგიონებად. სამხედრო პოტენციალის პირველი დემონსტრირება 2002 წელს შედგა, როდესაც რუსეთმა სსრკ-ს დაშლის შემდეგ პირველად ჩაატარა საბრძოლო წვრთნები კასპიის ზღვის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში.²⁸ სამხედრო ძალების განლაგების გარდა, რომელსაც იგი ინარჩუნებს საკუთარ ტერიტორიაზე, მათ შორის კასპიის ფლოტილიის სახით, რომელიც 2010 წლიდან საგრძნობლად გაძლიერდა, რუსეთი არ ერიდება ინტერვენციას თავის საზღვრებს გარეთ.

რუსეთის ფედერაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონში თავისი გავლენის შენარჩუნება. რუსეთის ინტერესები კასპიის რეგიონში შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად მიმართულებად: ენერგეტიკა, ბიოლოგიური რესურსები, ტრანსპორტი და სამხედრო განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი მოსწყდა კასპიის ზღვის ნავთობის საბადოებზე წვდომას. კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო, ცუდად იყო შესწავლილი და ითვლებოდა არაპერსპექტიულად. გარდა ამისა, ტერიტორიის ნაწილი წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას, რომელიც მნიშვნელოვანია, ძირითადად, ბიორესურსების თვალსაზრისით.

ირანი

ირანის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კასპიის ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებს. საბჭოთა კავშირის დაშლისა და რეგიონში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ირანი მოექცა ცენტრალური აზიისა და კავკასიის დიპლომატიის ყურადღების ცენტრში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რეგიონის ქვეყნების უმეტესობას არ აქვთ ზღვაზე გასასვლელი.

ირანი წამყვანი მოთამაშეა კასპიის აუზის ნავთობისა და გაზის ექსპორტში, რაც განპირობებულია მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით. ირანი ესაზღვრება კავკასიას, კასპიის ზღვას, ცენტრალურ აზიას, სპარსეთის ყურეს, ომანის ყურეს, თურქეთს, ერაყს, ავღანეთსა და პაკისტანს. მას თავისი ჩრდილოეთის ბაზრების მოსამარაგებლად (swap შეთანხმებების საშუალებით) შეუძლია ნავთობის გაცვლა თურქმენეთთან, ყაზახეთთან და აზერბაიჯანთან, მას აგრეთვე აქვს ფართო საექსპორტო საშუალებები სპარსეთის ყურეში.²⁹

ენერგეტიკული პოლიტიკა ირანის საგარეო ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სწორი ენერგეტიკული დიპლომატიის გატარება დიდ გავლენას ახდენს ირანის ეროვნულ და საერთაშორისო სტატუსზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი გავლენიანი სახელმწიფოების მიდგომებსა და პოზიციებს, როგორებიც არიან შეერთებული შტატები, ევროკავშირი, რუსეთი და ჩინეთი.³⁰ თეირანის პოლიტიკის მთავარ ხაზს წარმოადგენს კავშირების გაძლიერება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, ჩინეთსა და აზიის სხვა სახელმწიფოებს შორის. ირანის მცდელობა, შეინარჩუნოს საკუთარი გეოპოლიტიკური ამბიციები, დიდად არის დამოკიდებული მის ირგვლივ განვითარებულ პროცესებზე. ძლიერი ზეწოლა, რომელსაც აშშ ახორციელებს, ირანს უტოვებს მცირე არჩევანს.

ირანი და რუსეთი ორი დიდი ქვეყანაა, რომლებიც ესაზღვრება კასპიის ზღვას. ირან-რუსეთის ურთიერთობებში არსებული სირთულეები, ინტერესების თანხვედრა და მუდმივი დაძაბულობა აშკარაა მათს პოლიტიკაში კასპიის ზღვის რეგიონის მიმართ. ამრიგად, კასპიის რეგიონი უამრავ შესაძლებლობას იძლევა ირანსა და რუსეთს შორის დიპლომატიური,

²⁸ Завьялова, Е. Б. "Каспийская мечта и геополитическая реальность." *Экономика и управление: проблемы, решения* 1, no. 5 (2017): 47

²⁹ Miles, Carolyn. "The Caspian Pipeline Debate Continues: Why Not Iran?" *Journal of International Affairs* 53, no. 1 (1999): 325–46.

³⁰ Mayers, A. J. "The growing developing countries appetite for oil and natural gas." *Economic Perspective* (2004): 14.

ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობისათვის. ირანისა და რუსეთის ინტერესში არ შედის, სხვა კასპიისპირა ქვეყნებმა განახორციელონ თავიანთი მიზნები სავაჭრო გზებისა და ბაზრების დივერსიფიკაციის კუთხით, რაც გამოიწვევს ამ ქვეყნებზე დამოკიდებულების შემცირებას. თეირანი და მოსკოვი იზიარებენ დასავლეთის სამხედრო ძალების კასპიის ზღვის რეგიონში შეკავების მიზანს. მაშინაც კი, როდესაც მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, ირანი და რუსეთი კვლავ ატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას. ორმხრივი სარგებლის უზრუნველსაყოფად თეირანსა და მოსკოვს შეუძლიათ ითანამშრომლონ მოკლევადიანი ტაქტიკური უპირატესობისთვის მესამე მხარის ხარჯზე მაშინაც კი, როდესაც მათი გრძელვადიანი მიზნები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს. მაგალითად, როდესაც რუსეთი თეირანს დასავლეთთან კონფლიქტში გარკვეულ მხარდაჭერას სთავაზობს. რუსეთი იყენებს ირანის იზოლაციას შესაძლო დასავლელი პარტნიორებისგან ეკონომიკური და უსაფრთხოების ბერკეტებისთვის.³¹

ირანისთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს ჩინეთი, რომელიც წარმოაჩენს თავს, როგორც ირანის მაშველს აშშ-ს მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიმართ. ორმა ქვეყანამ გააფორმა 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც ირანის მიერ მიჩნეულ იქნა, როგორც უპრეცედენტო მიღწევა.³² ეს პარტნიორობა არ ცვლის ძალთა ბალანსს რეგიონში, თუმცა ის აისახება დინამიკაზე. შეთანხმება ეწინააღმდეგება აშშ-ს ძალისხმევას მოაქციოს ირანი ეკონომიკურ და გარკვეულწილად დიპლომატიურ იზოლაციაში.³³

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ნავთობისა და ბუნებრივი აირის დიდი მარაგების მიუხედავად, სანქციების გამო ირანი ვერ ერთვება კასპიის ზღვის რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებში. დასავლური ნავთობკომპანიები, რომლებიც დაკავებული არიან კასპიის ენერგორესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების კუთხით, ვერ ახორციელებენ ინვესტიციებს ირანის მიმართულებით.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგების დიდი რაოდენობა აქვს, რაც აძლევს მას საშუალებას მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მსოფლიო ბაზრებზე ენერგომატარებლების მიწოდების დივერსიფიკაციაში. აზერბაიჯანის ენერგეტიკული პოლიტიკის უპირველესი გამოწვევა ემყარება იმ ფაქტს, რომ რეგიონი ძალიან მგრძნობიარე და დაუცველია რეგიონსა და მის გარეთ მიმდინარე პროცესების მიმართ.

გეოგრაფიული მდებარეობიდან და გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანი ევროპის ბაზრებზე ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ მარშრუტს წარმოადგენს. დაახლოებით 30 წლის წინ აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა კასპიის ნავთობსა და ბუნებრივ აირთან დაკავშირებულ პირველ საერთაშორისო პროექტებს.³⁴ 1990-იან წლებიდან აზერბაიჯანის დიპლომატიური სტრატეგიის პრიორიტეტს წარმოადგენდა დასავლეთთან თანამშრომლობა. ენერგეტიკული პროექტებით, ნავთობის ექსპორტით და შემდეგ ასევე ბუნებრივი აირის ექსპორტით კასპიის ზღვის რეგიონმა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ განვითარებას მიაღწია, რამაც უზრუნველყო როგორც აზერბაიჯანის, ისე

³¹ Weitz, Richard; Tehran and Moscow: Alignment and Divergence in the Caspian; Middle East Institute; (June 9, 2021) : p. 1-8

³² Fallahi, Ebrahim, 'Iran-China strategic partnership: a roadmap for mutual prosperity', Tehran Times, 4 April 2021. <https://www.tehrantimes.com/news/459437/Iran-China-strategic-partnership-a-roadmap-for-mutual-prosperity>

³³ Todorova, Bogdana. "China and Iran—A New Dynamics Within the Strategic Cooperation." *Confucius Institute in Sofia*, (2021): 188-195.

³⁴ Szymczak, Pat Davis. "Caspian Oil and Gas Leverages Strengths to Survive in a Low-Carbon World." *Journal of Petroleum Technology* 73, no. 11 (2021): 23, ccessed November 1, 2021 <https://jpt.spe.org/caspian-oil-and-gas-leverages-strengths-to-survive-in-a-low-carbon-world>

მეზობელი სახელმწიფოების სტაბილურობა და დამოუკიდებლობა. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობის მილსადენის მშენებლობის შემდეგ ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი გახდა სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP) და აზერბაიჯანში მოპოვებული ბუნებრივი აირი ევროპამდე მივიდა. ბუნებრივი აირის სამხრეთი დერეფანი (SGC), წარმოადგენს ისტორიულ წარმატებას აზერბაიჯანსა და ევროკავშირისთვის (EU) ენერგიის მიწოდების ახალი წყაროებისა და მარშრუტების საერთო მიზეზში.³⁵

აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და ევროპის კავშირს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველი გახდა 2006 წელს ხელმოწერილი მემორანდუმი ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. 2011 წლის იანვარში, ორივე მხარემ ხელი მოაწერა „ერთობლივ დეკლარაციას ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის შესახებ“. „სამხრეთის დერეფანი არის სტრატეგიული ინიციატივა კასპიის“ (პირველ ეტაპზე ბუნებრივი აირი შაჰ-დენიზ 2-დან, ხოლო მეორე ეტაპზე შესაძლოა თურქმენეთიდან), ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ბუნებრივი აირის რესურსების ევროპის ბაზრებზე გატანის. ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფანი არის დივერსიფიკაციის მთავარი ინსტრუმენტი ევროკავშირის ენერგომომარაგების უსაფრთხოებისთვის.

აზერბაიჯანმა, რომელსაც ესაზღვრება საქართველო, თურქეთი, სომხეთი, რუსეთი, ირანი და კასპიის ზღვა, 2020 წლის ბოლოს დაიწყო ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროპაში ტრანსადრიატიკის მილსადენის გავლით. ტრანსადრიატიკული მილსადენი, რომელსაც შაჰ-დენიზ 2-დან ევროპულ ბაზარზე გადააქვს ბუნებრივი აირი, მრავალ შესაძლებლობას ქმნის ევროპის ქვეყნებისთვის.

2022 წლის 18 ივლისს ევროკომისიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას აზერბაიჯანთან 2027 წლისათვის ბუნებრივი აირის იმპორტის გაორმაგების შესახებ. ეს განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც ევროკომისიის პრეზიდენტი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ეწვია ბაქოს ევროკავშირისთვის ენერგომომარაგების გაზრდაზე მოლაპარაკებების გამართვის მიზნით. შეთანხმების თანახმად, 15 წლის განმავლობაში აზერბაიჯანი ბუნებრივი აირის იმპორტს წელიწადში 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის, რაც დაეხმარება ევროკავშირს შეამციროს რუსულ ენერგიაზე დამოკიდებულება.³⁶ ბაქოში ვიზიტისას ევროკომისიის პრეზიდენტმა განაცხადა: „დღეს ამ ახალი ურთიერთგაგების მემორანდუმით ჩვენ ვხსნით ახალ თავს ჩვენს ენერგეტიკულ თანამშრომლობაში აზერბაიჯანთან, რომელიც არის მთავარი პარტნიორი ჩვენს ძალისხმევაში, რუსეთის საწვავისგან თავის დაღწევის მცდელობაში.“³⁷

ევროპის კავშირი და აზერბაიჯანი მხარს უჭერენ ორმხრივი ვაჭრობის გაზრდას, მათ შორის - ევროკავშირში, ბუნებრივი აირის ექსპორტის გზით, სამხრეთის დერეფნის გავლით. ბაქოსა და ევროკავშირს შორის გარიგება გაზრდის ბუნებრივი აირის ნაკადს სამხრეთ დერეფნის გავლით, რაც გამოიწვევს ევროპის დამოკიდებულების შემცირებას რუსეთის ბუნებრივ აირზე.

ყაზახეთი

ყაზახეთი არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ღია ზღვაზე გასასვლელი, ის ჩაკეტილია კიდეც უფრო დიდ და მეტოქე ქვეყნებს, ჩინეთსა და რუსეთს, შორის. ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების უზარმაზარი მარაგებით ყაზახეთი

³⁵ Bryza, Matthew, M. Cutler, and G. Vashakmadze. "US foreign policy and Euro-Caspian energy security: The time is now to build the Trans-Caspian Pipeline." *Atlantic Council* 12 (2020), 1-2, accessed June 12, 2020. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/energysource/us-foreign-policy-and-euro-caspian-energy-security-the-time-is-now-to-build-the-trans-caspian-pipeline/>

³⁶ Euronews, EU agrees deal with Azerbaijan to double gas exports by 2027, accessed July 19, 2022 <https://www.euronews.com/my-europe/2022/07/18/von-der-leyen-heads-to-azerbaijan-to-secure-new-gas-import-deal>

³⁷ European Commission - Press release; EU and Azerbaijan enhance bilateral relations, including energy cooperation; Brussels, accessed 18 July 2022; https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_4550

მუდმივად ექცევა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. ყაზახეთის პოზიცია უნიკალური და მნიშვნელოვანია მრავალი აქტორისთვის.

მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ყაზახეთი უზარმაზარი წარმოებისა და ექსპორტის პოტენციალით შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მთავარი ენერგეტიკული მოთამაშე რეგიონში და ასევე მსოფლიოში.³⁸

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყაზახეთი ცდილობს დაიცვას ბალანსი ენერგომატარებლების მიწოდებაში დასავლეთს, აზიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის. დიდი კონკურენციაა ამ რესურსების დასავლურ ბაზრებზე გასატანად. საბჭოთა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული სატრანსპორტო სისტემის ბუნებრივი უპირატესობების გამო ამ მრუდზე მოსკოვი ერთი ნაბიჯით უსწრებს ყაზახეთს. კრემლი, თავის მხრივ, ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული გავლენა ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგორესურსების მოპოვებაზე.

ქვეყანას აღმოსავლეთით ესაზღვრება ჩინეთი, რომელიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყაზახეთის ენერგეტიკულ სექტორში. ჩინეთს აქვს წილი ქვეყანაში არსებულ რამდენიმე პროექტში, როგორიცაა ნავთობისა და გაზის საბადოები, ასევე სპილენძის, რკინისა და ურანის მადაროები.³⁹

მსოფლიოში მზარდი პოლარიზების პირობებში ყაზახეთი ცდილობს წარმოაჩინოს თავი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებლად. თუმცა რუსეთის მიერ უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს განხორციელებულმა აგრესიამ გააჩინა გარკვეული უთანხმოება ყაზახეთსა და რუსეთს შორის.

რუსეთსა და ყაზახეთს შორის არსებობს მრავალი სირთულე, ყველაზე აქტუალური, რა თქმა უნდა, ეხება ენერგეტიკულ ბაზარს. 2022 წლის 5 ივლისს პრიმორსკის რაიონულმა სასამართლომ სამხრეთ რუსეთის ქალაქ ნოვოროსიისკში დაადგინა, რომ კასპიის მილსადენის კონსორციუმმა (CPC) თითქმის ჩაიდინა გარემოს დაცვითი დარღვევები. გარემოსთვის ზიანის მიყენების პრეტენზია ნავთობკომპანიებსა და პროექტებზე ზეწოლის უპირატეს მეთოდებს შორისაა. პოლიტიკური და საქმიანი წრეების გავლენამ ხელი შეუწყო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას, 2022 წლის 11 ივლისს 30-დღიანი შეჩერება ხელახლა იქნა განხილული და შეიცვალა მხოლოდ 3250 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმით.⁴⁰ მიუხედავად იმისა, რომ მილსადენით გადის მსოფლიო ნავთობის მხოლოდ 1%-ზე მეტი, CPC (მილსადენი) მნიშვნელოვანია ყაზახეთისთვის, ვინაიდან ყაზახეთის ნავთობის ექსპორტის დაახლოებით 80% გადის ნოვოროსიისკის ნავთობტერმინალიდან. გადაწყვეტილების მიღების დრომ ბუნებრივად გააჩინა გარკვეული კითხვები. გადაწყვეტილება მიღებული იყო ორი დღის შემდეგ, რაც ყაზახეთის პრეზიდენტმა კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა სატელეფონო საუბრის დროს განუცხადა ევროპის საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს, რომ ყაზახეთი მზად არის გამოიყენოს თავისი ნახშირწყალბადის პოტენციალი მსოფლიო და ევროპულ ბაზრების სტაბილიზაციისთვის.⁴¹

ცენტრალური აზიის ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანა კვლავ ეკონომიკურად არის დამოკიდებული რუსეთზე, განსაკუთრებით - ენერგომატარებლების ექსპორტის კუთხით. გასაკვირი არ არის, რომ კრემლმა დაიწყო ენერგიის გამოყენება იარაღად თავისი მოკავშირის წინააღმდეგ. ყაზახეთი აწარმოებს დაახლოებით 1,6 მლნ ბარელ ნავთობს დღეში და ახორციელებს ამ მოცულობის დაახლოებით 80%-ის ექსპორტს. დარჩენილ 15%-ს ტოვებს ქვეყანაში ასევე რუსეთის გავლით, ხოლო დაახლოებით 5% მიდის ჩინეთში და სხვადასხვა

³⁸ Overland, Indra, Heidi Kjaernet, and Anrea Kendal-Taylor. *Caspian Energy Politics*. (London: Routledge, 2010), 22

³⁹ Overland, Indra, Heidi Kjaernet, and Anrea Kendal-Taylor. *Caspian Energy Politics*, 22

⁴⁰ Urciuolo, Luca. The Kazakh energy politics: is oil diversification a geopolitical conundrum? GEOPOLITIKA EVRAZIJA , PROJECTS, Geopolitical Report ISSN 2785-2598 Volume 21 Issue 5, accessed (July 20, 2022): 1-2 <https://www.specialeurasia.com/2022/07/20/kazakhstan-russia-energy/>

⁴¹ Inrefax, Kazakhstan ready to help stabilize energy prices on European, global markets - Tokayev accessed July 4, 2022. <https://interfax.com/newsroom/top-stories/80918/>

მიმართულებით რკინიგზითა და კასპიის ზღვით.⁴²

განვითარებული მოვლენების ფონზე კიდევ უფრო აქტუალური გახდა ყაზახეთიდან ენერგომატარებლების ტრანსპორტირების, დივერსიფიცირების საკითხი. ყაზახეთის პრეზიდენტმა, კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა, თავის მთავრობას დაავალა ნავთობის მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაცია.⁴³

შესაბამისად, 2022 წლის 7 ივლისს პრეზიდენტმა ყაზახეთის მთავრობის წარმომადგენლებს დაავალა კასპიის ზღვის ფსკერზე მილსადენის მშენებლობის შესაძლებლობის შესწავლა, რაც საშუალებას მისცემს ყაზახური ნავთობის ექსპორტის განხორციელებას დასავლეთის ბაზრებზე რუსეთის გვერდის ავლით.⁴⁴

ყაზახეთი დაინტერესებულია უფრო აქტიურად ჩაერთოს უკვე არსებულ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში. იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი რესურსები, ყაზახეთმა უნდა ითანამშრომლოს რეგიონის უდიდეს მოთამაშეებთან.⁴⁵

დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ყაზახეთს სხვა არჩევანი არ აქვს, გარდა ბალანსისა დასავლეთსა და მოსკოვს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა ყაზახური ნავთობის ერთ-ერთი მთავარი იმპორტ-ექსპორტის მიმართულებაა, ყაზახეთის პრობლემა არის ის, რომ მისი ძირითადი მილსადენები რუსეთზე გადის.⁴⁶ შესაბამისად, ყაზახეთს სურს შეინარჩუნოს რუსეთთან კარგი ურთიერთობები. თავის მხრივ, რუსეთს სჭირდება ყაზახეთი და უზღუდა მისი საგარეო კურსისათვის ანგარიშის გაწევა. 2022 წლის 23 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ განაცხადა: „რუსეთი პატივს სცემს ყაზახეთის პოზიციას უკრაინაში კონფლიქტის შესახებ“.⁴⁷ ყაზახეთი არ შეუერთდა დასავლეთის მიერ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ დაწესებულ ანტირუსულ სანქციებს, თუმცა გადაწყვიტა დაეცვა დასავლეთის მიერ დადგენილი ყველა წესი რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. 2022 წლის 29 მარტს ტიმურ სულეიმენოვმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველმა მოადგილემ, თავის ინტერვიუში, რომელიც მისცა ევროაქტივის-EURACTIV უფროს რედაქტორს - გიორგი გოტევს, განაცხადა, რომ ყაზახეთი „არ იქნება ინსტრუმენტი იმ სანქციების გვერდის ავლისა, რომლებიც ევროკავშირმა რუსეთს დაუწესა“.⁴⁸

თურქმენეთი

თურქმენეთს აქვს ბუნებრივი აირის უზარმაზარი მარაგი, შესაბამისად, დაინტერესებულია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მსოფლიო ენერგეტიკის უსაფრთხოებაში⁴⁹. თურქმენეთი

⁴² Pipeline & Gas Journal, Analysis: Oil Majors Face Output Slump, Deep Losses If Russia Stops Kazakh Pipeline, (2022): 1-2, accessed July 11, 2022, <https://pgjonline.com/news/2022/july/analysis-oil-majors-face-output-slump-deep-losses-if-russia-stops-kazakh-pipeline>

⁴³ Valle, Sabrina and Bousso, Ron; Analysis: Oil majors face output slump, deep losses if Russia stops Kazakh pipeline, Editing by Barbara Lewis; (2022): 8, accessed July 11, 2022, <https://www.reuters.com/business/energy/>

⁴⁴ RF/RL, Kazakh President Calls for New Oil Export Routes After Russia Suspends Key Pipeline, accessed July 7, 2022. <https://www.rferl.org/a/kazakhstan-pipeline-russia-exports-war/31932806.html>

⁴⁵ Ebel, Robert, and Rajan Menon. *Energy and conflict in Central Asia and the Caucasus*. Rowman & Littlefield Publishers, 2000, 98-99.

⁴⁶ Urciuolo, Luca. The Kazakh energy politics: is oil diversification a geopolitical conundrum? 1-2

⁴⁷ Informburo, Мария Захарова: Россия уважает точку зрения Казахстана на конфликт в Украине, accessed June 23, 2022. <https://informburo.kz/novosti/mariya-zaharova-rossiya-uvazhaet-tochku-zreniya-kazahstana-na-konflikt-v-ukraine>

⁴⁸ Georgi Gotev, *Kazakh official: We will not risk being placed in the same basket as Russia*. EURACTIV.com. (2022) accessed March 29, 2022. Link: <https://www.euractiv.com/section/central-asia/interview/kazakh-official-we-will-not-risk-being-placed-in-the-same-basket-as-russia/>.

⁴⁹ Arinç, Ibrahim, and Süleyman Elik. "Turkmenistan and Azerbaijan in European gas supply security." *Insight Turkey* (2010): 165.

ბუნებრივი აირის ექსპორტისთვის საექსპორტო გზების სერიოზულ ნაკლებობას განიცდის.

ბოლო პერიოდში ბუნებრივ აირზე მაღალი მოთხოვნილების გამო გაიზარდა ბუნებრივი აირის ფასი. მსოფლიოს მთავარი ენერგიის მომხმარებელთა (ინდოეთი, ჩინეთი) ეკონომიკურმა ზრდამ, გამოიწვია თურქმენეთის ბუნებრივ აირზე მოთხოვნა. თურქმენეთმა დაიწყო ბუნებრივი აირის ექსპორტი თურქმენეთი-ირანის და თურქმენეთი-ჩინეთის მილსადენების მეშვეობით.⁵⁰ თურქმენეთის ყოფილი პრეზიდენტის, ნიაზოვის, ჩინეთში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას ჩინეთის პრემიერ-მინისტრთან ჰუ ძიანტოსთან. შეთანხმების თანახმად, ყოველწლიურად უნდა განხორციელდეს 30 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ჩინეთში ექსპორტი⁵¹. ახალმა მილსადენებმა და ბუნებრივი აირის ექსპორტის ახალმა მოცულობებმა გაზარდა სახელმწიფოს შემოსავალი.

დასავლეთისთვის, კიდევ უფრო აქტუალური გახდა თურქმენეთის ენერგორესურსები, 2014 და 2022 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ევროპის კავშირის ქვეყნებისთვის ბუნებრივ აირზე მკვეთრმა ფასების ზრდამ და რუსეთის ენერგომანტაჟმა დღის წესრიგში დააყენა ალტერნატიული ენერგიის წყაროების მოძიების აუცილებლობა. ევროპაში თურქმენეთიდან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ართულებს თურქმენეთის გეოგრაფიული მდებარეობა. ბუნებრივი აირის ექსპორტის მოცულობის გასაზრდელად აუცილებელია ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობა, რაც შესაძლებელს გახდის ცენტრალური აზიიდან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირმა გააძლიერა ძალისხმევა სამხრეთ დერეფნის (SGC) გაფართოებისთვის. იგი ცდილობს ბუნებრივი აირი მოიზიდოს თურქმენეთიდან, ქვეყნიდან, რომელიც ამჟამად ამარაგებს ჩინეთის და რუსეთის ბაზრებს.

თურქმენული ბუნებრივი აირის ევროპაში სამხრეთ დერეფნის (SGC) ინფრასტრუქტურით ტრანსპორტირებისთვის აუცილებელია ტრანსკასპიური გაზსადენის (TCGP) აშენება. 180 მილის სიგრძის TCGP ტრანსკასპიური მილსადენი, 2018 წელს ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერილია გრანტით.⁵²

საქართველო

საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება რეგიონიდან ენერგომატარებლების მსოფლიო ბაზრებზე ექსპორტირების საკითხს. აღნიშნული კუთხით ძალზედ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია საქართველოს და თურქეთს, ვინაიდან ძირითადი მილსადენები, რომელთა საშუალებითაც აზერბაიჯანიდან ევროპის მიმართულებით ხდება ენერგომატარებლების ტრანსპორტირება, გადის საქართველოს ტერიტორიაზე.

2020 წელს სომხეთ-აზერბაიჯანის განახლებული კონფლიქტის შედეგად შექმნილი ტერიტორიული ცვლილებებისა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობების მიუხედავად, საქართველო კასპიის რეგიონიდან ენერგომატარებლების ტრანზიტისთვის ყველაზე სტაბილურ და მოსახერხებელ მარშრუტად რჩება. საქართველოს კასპიის რეგიონიდან და შუა აზიიდან ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საქმეში ცენტრალური ფუნქცია აკისრია. დღემდე აზერბაიჯანიდან ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვის შექმნილი ყველა ძირითადი მილსადენი (ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზერუმი, ტრანს ანატოლიური მილსადენი) გადის საქართველოს ტერიტორიაზე.

ზბიგნევ ბჟეჟინსკი თავის წიგნში STRATEGIC VISION: AMERICA AND THE CRISIS OF

⁵⁰ Montgomery, S. *Treasures of the Caspian: The coming struggle for energy east and west*. Created as part of the 2012 Jackson School for International Studies, (2012):29

⁵¹ Moran, D., & Russell, J. (2009). *Energy security and global politics: The militarization of resource management*. (New York: Routledge Global Security Studies, 2009), 165

⁵² Bryza, Matthew, M. Cutler, and G. Vashakmadze. "US foreign policy and Euro-Caspian energy security: The time is now to build the Trans-Caspian Pipeline," 1-2.

GLOBAL POWER წერს, რომ რუსეთის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ აშშ-ს მხარდაჭერით, საქართველოს გავლით შეიქმნა სამხრეთის დერეფანი, რომელიც გულისხმობს ენერგომატარებლების ტრანსპორტირებას ევროპაში თურქეთის გავლით, კერძოდ - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის საშუალებით. საქართველოსა და აშშ-ს შორის კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში რუსეთი შეძლებს გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ მონოპოლიას, სრული კონტროლის დამყარებას ევროპაში ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საქმეში. რუსეთის მხრიდან საქართველოს დამორჩილებას დიდი ალბათობით მოჰყვება ჯაჭვური რეაქცია, რომელიც აზერბაიჯანსაც შეეხება. აშშ-ს დასუსტების შემთხვევაში რუსეთი შეეცდება საქართველოზე კონტროლის დამყარებას და გაზრდის ზეწოლას აზერბაიჯანზე თავისი გავლენის სფეროში მოსაქცევად. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მოახერხებს საქართველოსა და აზერბაიჯანის თავის გავლენის სფეროში მოქცევას, ევროპა იძულებული იქნება დიდი ანგარიში გაუწიოს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ გეგმებს.⁵³

უკრაინაში განვითარებულმა, მოვლენებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა რუსეთზე დასავლეთის, ენერგოდამოკიდებულების შემცირების აუცილებლობა. რთული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს დღესდღეობით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ევროპის კავშირისთვის. კასპიის ზღვის რეგიონიდან რუსეთის გვერდის ავლით ენერგომატარებლების მიღება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის გავლით არის შესაძლებელი, რაც ევროპისთვის რუსეთის ალტერნატივას წარმოადგენს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თურქეთი

თურქეთი დიდ ყურადღებას უთმობს მეზობლებთან ურთიერთობასა და უსაფრთხოების საკითხებს. ენერგო უსაფრთხოება და სტაბილურობა წარმოადგენს თურქეთის უმაღლეს პრიორიტეტს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დამოუკიდებლობა. თურქეთი ცდილობს ჩამოაყალიბოს და გააფართოოს ორმხრივი ურთიერთობები რეგიონთან პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების გზით.⁵⁴ თურქეთი რეგიონში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე გახდა. მან შეძლო სამხრეთ კავკასიაში საქართველოსა და აზერბაიჯანთან მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარება. განსაკუთრებით მჭიდროა ურთიერთობები აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, რომელსაც მოიხსენიებენ დევიზით „ერთი ხალხი, ორი სახელმწიფო“.

გლობალიზებულ სამყაროში ენერგიის მზარდი მოთხოვნა აყალიბებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სტრატეგიულ პოლიტიკას. ამის გათვალისწინებით, თურქეთის რესპუბლიკამ თავისი ძალისხმევა მიმართა ეკონომიკური, უსაფრთხო და ეკოლოგიურად მგრძნობიარე სატრანსპორტო სისტემების განვითარებაზე, რაც გულისხმობს კასპიის ზღვის აუზის, მდიდარი ნახშირწყალბადის მარაგის დასავლურ ბაზრებზე მიწოდებას. დიდი წარმატება იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტები. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის BTC მილსადენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცენტრალურ აზიასა და კასპიის ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში. აგრეთვე აღსანიშნავია, ტრანსანატოლიური TANAP და ტრანსადრიატიკული TAP გაზსადენების მშენებლობა. ამ გაზსადენების საშუალებით აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით შესაძლებელი გახდა ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება. ეს მილსადენები რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებიდან ევროპაში ენერგორესურსების

⁵³ Brzezinsky, Zbignev. *Strategic Vision: America and the Crisis of Global Power*, (Basic Books, NY, 2012), 18-19

⁵⁴ Wheeler, Thomas. "Turkey's role and interests in Central Asia." *Saferworld Briefing* 3 (2013): 3

ტრანსპორტირების საშუალებას იძლევიან.⁵⁵

ეს მნიშვნელოვანი პროექტები მიზნად ისახავენ უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემის შექმნას, რომელიც გამოყენებული იქნება ენერგომატარებლების საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტისთვის. აღნიშნული პროექტები ხელს უწყობენ, როგორც თურქეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდას, ასევე აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. უკვე განხორციელებული, პროექტების შედეგად აზერბაიჯანი ხდება მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწარმოებელი, საქართველო კი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა. ეს მარშრუტი ქმნის ენერგეტიკულ ხიდს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ხელს უწყობს სხვა მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებიც გადაიტანენ ნედლეულს და ბუნებრივ აირს რეგიონის ქვეყნებიდან მსოფლიო ბაზრებზე.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები (იგულისხმება 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესია) არამარტო შესაძლებელს, არამედ პრაქტიკულად გარდაუვალს ხდის თურქეთის მნიშვნელოვან ენერგეტიკულ კერად და სატრანზიტო მარშრუტად გადაქცევას. კრიზისის ფონზე ევროპის კავშირის, მსოფლიოში ენერგიის უმსხვილესი მომხმარებლის, მხრიდან, დიდი ძალისხმევა კეთდება ენერგორესურსების დივერსიფიკაციისა და რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად. შესაბამისად, შემოთავაზებული ბუნებრივი აირის სამხრეთი დერეფანი და სხვა წინადადებები თურქეთზე გამავალი ხაზების შესახებ თურქეთისთვის წარმოადგენს მისი ამბიციის დაკმაყოფილებას, დაიკავოს წამყვანი როლი რეგიონის ენერგეტიკულ ბაზარზე. თურქეთი ამ პროცესში სარგებლობს თავისი წამყვანი მდგომარეობით. თურქეთი ინარჩუნებს სიძლიერეს თავისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის ხარჯზე წამყვან ძალებს შორის არსებულ კონფლიქტებში, რომელიც გამოწვეულია ენერგეტიკისა და პოლიტიკური ინტერესებით. ბოლო წლებში თურქეთმა მნიშვნელოვანი რისკი და პასუხისმგებლობა აიღო რეგიონული სტაბილურობის პოლიტიკაში, განსაკუთრებით - ახლო აღმოსავლეთში, შავ ზღვასა და კასპიის აუზში.⁵⁶

დასკვნა

ენერგიისა და ენერგიის გადამცემი მილსადენები ჰეგემონიის ძირითადი კომპონენტებია და მექანიზმი, რომელიც მთავრობებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ გლობალურ სავაჭრო სისტემაში. ამ კუთხით, ენერგეტიკა და ენერგეტიკული მილსადენები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და რეგიონული თანამშრომლობის განვითარების შესაფერის საფუძველს ქმნის, აძლიერებს ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, ზრდის გავლენას და ასევე ქვეყნების პოლიტიკურ როლს, რაც შეიძლება იყოს დიპლომატიის ინსტრუმენტი ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მიზნების მისაღწევად.⁵⁷

რეგიონის ქვეყნების გარდა, დიდია გლობალური ძალების ჩართულობა რეგიონში მიმდინარე პროცესებში. მიმდინარე პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი გლობალური და რეგიონული მოთამაშეების პოზიციები, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის კავშირი, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი. გარდა ამისა მნიშვნელოვანია კასპიისპირა ხუთ ქვეყანაში და, ზოგადად, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები. კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებს აქვთ დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან ისინი არ არიან ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) წევრები და წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის ალტერნატივას.

⁵⁵ Kalehsar, Shokri. *US Energy Diplomacy in the Caspian Sea Basin*, 81.

⁵⁶ Çapcioğlu, İhsan, and Ahmed Hamza ALPAY. "Power and Stability Policies in the Black Sea-Caspian Region in the Context of Max Weber's Authority Approach." *Afro Eurasian Studies* 8, no. 1 (2019): 60-61.

⁵⁷ Sovacool, Benjamin K. "Energy policy and cooperation in Southeast Asia: The history, challenges, and implications of the trans-ASEAN gas pipeline (TAGP) network." *Energy Policy* 37, no. 6 (2009): 2356

შესაბამისად, ისინი ქმნიან ენერგომომარაგების დივერსიფიკაციის შესაძლებლობას.⁵⁸ აღსანიშნავია, რომ რეგიონში საკმაოდ სწრაფად და დინამიკურად ვითარდება მოვლენები, რომლებიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, მათ შორის აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 2020 წელს განახლებული კონფლიქტი, რომლის შედეგად საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა რეგიონში და 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინაში განხორციელებული სამხედრო აგრესია.

დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში კასპიის ზღვის რეგიონის ენერგომატარებლები და მათი ტრანსპორტირების გზების განვითარება, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს გლობალურ ენერგოუსაფრთხოებას. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის რეგიონს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა ენერგოუსაფრთხოების გლობალურ სისტემაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ქვეყნებს, რომლის გავლით შესაძლებელია ენერგომატარებლების ტრანსპორტირება ევროპის ბაზრებზე რუსეთის გვერდის ავლით. შესაბამისად, საქართველო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება არსებულ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ვინაიდან საქართველოს მიმართულება წარმოადგენს ერთადერთ ალტერნატიულ მარშრუტს კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან ენერგომატარებლების ევროპაში ტრანსპორტირებისთვის.

ბიბლიოგრაფია - Bibliography:

1. Arınç, Ibrahim, and Süleyman, Elik. "Turkmenistan and Azerbaijan in European gas supply security." *Insight Turkey* (2010): 169-190.
2. Babalı, Tuncay. *Caspian Energy Diplomacy Since the End of the Cold-War*. Turkish Foreign Policy Institute, 2006.
3. Bluth, C. *US foreign policy in the Caucasus and Central Asia: Politics, energy and security*. New York: I.B. Tauris, 2014.
4. Brzezinski, Zbigniew. *Strategic Vision: America and the Crisis of Global Power*. New York: Basic Books, 2012.
5. Bryza, Matthew, Cutler, M., and Vashakmadze, G. "US foreign policy and Euro-Caspian energy security: The time is now to build the Trans-Caspian Pipeline." *Atlantic Council* 12 (2020): 1-15, <https://www.atlanticcouncil.org/blogs/energysource/us-foreign-policy-and-euro-caspian-energy-security-the-time-is-now-to-build-the-trans-caspian-pipeline/>, accessed June 12, 2020.
6. Çapcıoğlu, İhsan, and Alpay, Ahmed Hamza. "Power and Stability Policies in the Black Sea-Caspian Region in the Context of Max Weber's Authority Approach." *Afro Eurasian Studies* 8, no. 1 (2019): 55-80.
7. Croissant, Michael P., and Bülent, Aras. *Oil and geopolitics in the Caspian Sea region*. Greenwood Publishing Group, 1999.
8. Cutler, Robert M. "Cooperative Energy Security in the Caspian Region: A New Paradigm for Sustainable Development." *Global Governance* 5 (1999): 251-271
9. Denoon, David, ed. *China, The United States, and the Future of Central Asia: US-China Relations, Volume I*. Vol. 1. NYU Press, 2015.
10. Ebel, Robert, and Rajan, Menon. *Energy and conflict in Central Asia and the Caucasus*. Rowman & Littlefield Publishers, 2000.

⁵⁸ Heinrich and Pleines. "Mixing geopolitics and business: How ruling elites in the Caspian states justify their choice of export pipelines," 108.

11. European Commission, accessed July 18, 2022.
https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_4550
12. European Commission - Press release; EU and Azerbaijan enhance bilateral relations, including energy cooperation; Brussels, accessed 18 July 2022.
https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_4550
13. Euronews, EU agrees deal with Azerbaijan to double gas exports by 2027; accessed July 19, 2022
<https://www.euronews.com/my-europe/2022/07/18/von-der-leyen-heads-to-azerbaijan-to-secure-new-gas-import-deal>
14. Fallahi, Ebrahim, 'Iran-China strategic partnership: a roadmap for mutual prosperity', Tehran Times, (2021), accessed April 4, 2021. <https://www.tehrantimes.com/news/459437/Iran-China-strategic-partnership-a-roadmap-for-mutual-prosperity>
15. Gotev, Georgi, *Kazakh official: We will not risk being placed in the same basket as Russia*. EURACTIV.com. (2022) accessed March 29, 2022.
<https://www.euractiv.com/section/central-asia/interview/kazakh-official-we-will-not-risk-being-placed-in-the-same-basket-as-russia/>.
16. Heinrich, Andreas, and Heiko, Pleines. "Mixing geopolitics and business: How ruling elites in the Caspian states justify their choice of export pipelines." *Journal of Eurasian studies* 6, no. 2 (2015): 107-113.
17. Informburo, Mariya Zaharova: Россия уважает точку зрения Казахстана на конфликт в Украине, accesse June 23, 2022. <https://informburo.kz/novosti/mariya-zaharova-rossiya-uvazhaet-tochku-zreniya-kazahstana-na-konflikt-v-ukraine>
18. Inrefax, Kazakhstan ready to help stabilize energy prices on European, global markets - Tokayev
19. accessed July 4, 2022. <https://interfax.com/newsroom/top-stories/80918/>
20. Kalehsar, Shokri. *US Energy Diplomacy in the Caspian Sea Basin*. Springer International Publishing, 2021.
21. Kaysi, Hakan. "Energy security of the European Union and Turkey's role." *Ankara Avrupa Çalışmaları Dergisi* 10, no. 2 (2011): 63-82.
22. Kissinger Henry, *Diplomacy*. Simon and Schuster, 1994
23. Kubicek, Paul. "Energy politics and geopolitical competition in the Caspian Basin." *Journal of Eurasian studies* 4, no. 2 (2013): 171-180.
24. Latsabidze, Alexander, "New geopolitical realities of the Caspian sea region", Free University Journal of Assian Studies NO 2, (2020):1-5 accesed December 1, 2020,
<https://journals.org.ge/index.php/asianstudies/issue/view/17>
25. Mayers, A. J. "The growing developing countries appetite for oil and natural gas." *Economic Perspective* (2004): 13-14.
26. Miles, Carolyn. "The Caspian Pipeline Debate Continues: Why Not Iran?" *Journal of International Affairs* 53, no. 1 (1999): 325-46.
27. Molaei, Yousef, and Dayyan, Jaanbaaz. "Geopolitics and balance of power in Caspian Sea." *Central Eurasia Studies* 9, no. 1 (2016): 151-174.
28. Montgomery, S. *Treasures of the Caspian: The coming struggle for energy east and west*. Created as part of the 2012 Jakson School for International Studies, (2012): 2-203
29. Moran, D., & Russell, J. *Energy security and global politics: The militarization of resource management*. New York: Routledge Global Security Studies. 2009.
30. Morgenthau, H. *Politics among nations: Struggle for power and peace*. New York: Knop. 1948
31. Overland, Indra, Heidi Kjaernet, and Anrea Kendal-Taylor. *Caspian Energy Politics*. London: Routledge, 2010.
32. Paul, Thazha Varkey, James J. Wirtz, and Michel Fortmann. *Balance of power: theory and practice in the 21st century*. Stanford University Press, 2004.
33. Pipeline & Gas Journal, Analysis: Oil Majors Face Output Slump, Deep Losses If Russia Stops Kazakh Pipeline, (2022): 1-2, accessed July 11, 2022,

- <https://pgjonline.com/news/2022/july/analysis-oil-majors-face-output-slump-deep-losses-if-russia-stops-kazakh-pipeline>.
34. RF/RL, Kazakh President Calls for New Oil Export Routes After Russia Suspends Key Pipeline, accessed July 7, 2022. <https://www.rferl.org/a/kazakhstan-pipeline-russia-exports-war/31932806.html>
 35. Sovacool, Benjamin K. "Energy policy and cooperation in Southeast Asia: The history, challenges, and implications of the trans-ASEAN gas pipeline (TAGP) network." *Energy Policy* 37, no. 6 (2009): 2356-2367
 36. Szymczak, Pat Davis. "Caspian Oil and Gas Leverages Strengths to Survive in a Low-Carbon World." *Journal of Petroleum Technology* 73, no. 11 (2021): 23-27, accessed November 1, 2021
 37. <https://jpt.spe.org/caspian-oil-and-gas-leverages-strengths-to-survive-in-a-low-carbon-world>
 38. Tapia, Felipe Sánchez. "Geopolítica en el mar Caspio: los extraños no son bienvenidos." *bie3: Boletín IEEE* 22 (2021): 202-225.
 39. Shaffer, Brenda. "Pipeline Trends and International Politics." In *Energy Politics*, 47–65. University of Pennsylvania Press, 2009.
 40. Shaffer, Brenda. "Russia." In *Energy Politics*, 114–127. University of Pennsylvania Press, 2009.
 41. Urciuolo, Luca. The Kazakh energy politics: is oil diversification a geopolitical conundrum? Geopolitika Evrazija , Projects, Geopolitical Report ISSN 2785-2598 Volume 21 Issue 5, (2022), 1-6, accessed July 20, 2022. <https://www.specialeurasia.com/2022/07/20/kazakhstan-russia-energy/>
 42. Valle, Sabrina and Bousso, Ron. Analysis: Oil majors face output slump, deep losses if Russia stops Kazakh pipeline, Editing by Barbara Lewis; (2022): 1-17, ccessed July 11, 2022. <https://www.reuters.com/business/energy/>
 43. Vaziri, Haleh. "A Diplomatic History of the Caspian Sea: Treaties, Diaries, and Other Stories, Guive Mirfendereski. With a foreword by HE Chehabi. New York: Palgrave, 2001 ISBN 0-312-24005-8, 261pp." *Iranian Studies* 37, no. 1 (2004): 163-165.
 44. Weitz, Richard; Tehran and Moscow: Alignment and Divergence in the Caspian; Middle East Institute; (June 9, 2021): 1-8
 45. Wheeler, Thomas. "Turkey's role and interests in Central Asia." *Saferworld Briefing* 3 (2013): 1-16.
 46. Winzer, Christian. "Conceptualizing energy security." *Energy policy* 46 (2012): 36-48.
 47. Завьялова, Е. Б. "Каспийская мечта и геополитическая реальность." *Экономика и управление: проблемы, решения* 1, no. 5 (2017): 41-48
 48. Томберг, Игорь. "Центральная Азия и Каспийский регион: новый этап" большой энергетической игры". *Центральная Азия и Кавказ* 5 (47) (2006): 23-41.
 49. Zibakalam, Sadegh; Arab Ameri, Javad. Manabe'-e gheyr-e mota'ref-e enerji va jaygah-e Khalij-e Fars dar siyasat-e amniyat-e enerjhi-e Eyalat-e Motahede. The Journal of Foreign Policy, vol. 28, N 1, Spring,1393 (2014): 173-198.
 50. Karimipour, Davood; Niakooi, Seyed Amir; Simbar, Reza. Naqsh-e diplomasi-e enerji dar siyasat-e khareji-e Russie va Qatar. The Journal of Strategic Research of Politics, vol. 6, N 22 (52), Autumn 1396 (2017): 177-205.